



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ერთი მხრივ ა(ა)იპ „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი-კავკასიური სახლის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი კანაშვილი და მეორე მხრივ, სსიპ “შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის” რექტორი, თეონა ხუფენია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზნები:

1.1. წინამდებარე მემორანდუმის ძირითადი მიზანი მოიცავს საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროში თანამშრომლობას, კერძოდ კი, „კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტის“ ერთწლიანი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას და სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას.

1.2. მემორანდუმის მიზნების განხორციელებისთვის, დამატებით შესაძლებელია შედგეს შეთანხმება, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ცალკეული აქტივობები.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

2.1. მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისთვის, ა(ა)იპ “კავკასიური სახლი” უზრუნველყოფს:

2.1.1. ერთი წლის მანძილზე პროექტის ფარგლებში გამართული ყველა საგანმანათლებლო ლექციის ხელმისაწვდომობას შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის;

2.1.2. სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობას;

2.1.3. სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით სკაიპ-ჩართვების განხორციელებას;

2.1.4. ყველა საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას;

2.2. მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის” შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი” უზრუნველყოფს:

2.2.1. ჩართულობას „კავკასიური სახლის“ პროექტ-„კავკასიოლოგიური სახალხო უნივერსიტეტის“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში;

2.2.2. მსმენლების მობილიზებას და ანკეტირებას.

2.2.3. ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას როგორც მსმენლისთვის, ასევე პროექტის ხელმძღვანელთათვის.

2.3. მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და შეასრულებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს;

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები:

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით.

3.2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

- 3.2.1. მემორანდუმის მოქმედების ვადის გასვლა;
- 3.2.2. მემორანდუმის უხეში დარღვევა რომელიმე მხარის მხრიდან;
- 3.2.3. მხარეთა შეთანხმება;
- 3.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 4. ფორსმაჟორი


- 4.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით(ფორსმაჟორით);
- 4.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი „ფორსმაჟორული“ გარემოების დადგომისას;
- 4.3. მხარეების მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება „ფორსმაჟორული“ გარემოებების მოქმედების შეწყვეტამდე;

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები


- 5.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა დაიშვება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხემოწერისთანავე;
- 5.2. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საკითხი არ არის გათვალისწინებული ამ მემორანდუმით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 5.3. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

მხარეთა რეკვიზიტები:

ა(ა)იპ“კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი-კავკასიური სახლი“
ს/კ 203832912
ორგანიზაციის დირექტორი
გიორგი კანაშვილი



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი
ს/კ 220407888
რექტორი
თეონა ხუფენია



ტელ.: (995 32) 2 99 72 61
(995 32) 2 93 14 35
(995 32) 2 99 60 22
ფაქსი: (995 32) 2 99 72 61

E-mail: info@caucasianhouse.ge

საქართველო, თბილისი 0105, გალაქტიონის №20
Galaktioni str 20, Tbilisi, 0105, Georgia

Tel.: (995 32) 2 99 72 61
(995 32) 2 93 14 35
(995 32) 2 99 60 22
Fax: (995 32) 2 99 72 61

კავკასიური
სახლი



CAUCASIAN
HOUSE

ანკეტა „კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტში“ მისაღებად.

პირადი ინფორმაცია:

სახელი:

გვარი:

სასაწავლებლის ადგილი:

სასაწავლებლის სახელწოდება:

სამუშაო გამოცდილება:

პირადი მონაცემები

ტელეფონის ნომერი :

ელ-ფოსტა:

დაბადების თარიღი:

სქესი:

პროექტი ხორციელდება ევროპული ფონდი „ჰორიზონტის“ ფინანსური
მხარდაჭერით